№ 157

ოთხშაბათი, 26 ივლისი 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 70 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 55 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1895

# ივერია

№ 157

ოთხშაბათი, 26 ივლისი 1895

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**განცხადება ტფილისის სათავად აზნაურო სკოლისა.**

1) მდგომარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში არის სულ ორმოცდა-ცამეტი (53) ვაკანსია: პირველ განყოფილებაში 36, (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის), მეორე განყოფილებაში 11, (8 და 9 წლის ყმაწვილებისათვის), მესამე განყოფილებაში 1 (9 და 10 წლის ყმაწვილ.) და მეოთხეში 5 (10 და 11 წლის ყმაწვ.). პროგიმნაზიულ კლასებში არც ერთი არ არის თავისუფალი ადგილი.

2) 53 ვაკანსიისაგან 49 არის დანიშნული გარედან მოსიარულეებისათვის და ოთხი (4) პანსიონში ტფილისის გუბერნიის ღარიბ თავად-აზნაურთა შვილებისათვის. ამ ოთხს ვაკანსიაში სამი (3) არის საზოგადოების ნახევარ ხარჯზედ და ერთი (1) სრულ ხარჯზედ.

3) ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზედ იქნება მიღებული, იმას არავითარი ხარჯი არ მოეთხოვება სწავლა-აღზრდისათვის; ხოლო მათ, რომელნიც მიღებულნი იქმნებიან საზოგადოების ნახევარ ხარჯზედ, უნდა შემოიტანონ წელიწადში ათი თუმანი—ნახევარი შემოსვლისათანავე და ნახევარი იანვარში.

გარედან მოსიარულეს გარდახდება წელიწადში სწავლის ფასი თორმეტი მანეთი, ექვსი ენკენისთვეში და ექვსი იანვარში.

4) ვისაც ჰსურს, მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზედ, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი დოკუმენტები:

ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან, გ) მოწმობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკიდგან, რომ იგი ირიცხება ხსენებულის ბანკის დამფუძნებელთა შორის, დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

5) ვისაც ნახევარს ხარჯზედ ჰსურს შემოსვლა, ან გარედ მოსიარულედ, მისთვის საჭიროა იგივე დოკუმენტები, თვინიერ ბანკის მოწმობისა. გარედგან მოსიარულეთათვის აუცილებლად საჭიროა წლოვანობის მოწმობა და ყვავილის აცრისა.

6) უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველნი მიშვებულ იქმნებიან წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო დოკუმენტებს და ამასთანავე ეგზიმენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისთვის.

7) ვინაიდგან პანსიონში შემომსვლელთათვის მცირეა ვაკანსიების რიცხვი და მსურველი-კი ბევრია, სკოლის გამგე კომიტეტი იძულებული იქმნება დაითხოვოს ის პანსიონერები, რომლებზედაც წინა წლის ფულია დარჩენილი, იმისთვის რომ ადგილი დაუცალოს ახლად შემოსვლელებს. ამიტომ სკოლის მთავრობა სთხოვს მშობლებს, რომელთაც სრულად არა აქვთ შემოტანილი სწავლა-აღზრდის ფასი, რომ უთუოდ შემოიტანონ პირველის ენკენისთვისათვის, რაც არის მათზე დარჩენილი, თორემ მათი შვილები დათხოვნილ იქმნებიან პანსიონიდგან.

8) შესაძლოა მარიამობის თვეში, მოწაფეების ხელ მეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარს ხარჯზედ ისურვებს პანსიონში შემოსვლას ან ნახევარს ხარჯზე. ვინც საკუთარს ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი, ათი შემოსვლისათანავე და ათი იანვარში.

9) თხოვნა უნდა შემოვიდეს მარიამობისთვის 20 რიცხვამდის. ქალაქს გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Тифлисской Дворянскою Школой, на Лабораторной ул., въ д. Гургинбегова.

10) მარიამობისთვის 23, 24 და 25 რიცხვებს მოხდება მისაღები ეგზამენები და ხელ-მეორედ გამოცდა ზოგიერთ მოწაფეებისა. პირველს ენკენისთვეს დაიწყება სწავლა.

დათხოვნილნი იქმნებიან აგრეთვე ის პანსიონერებიც, რომელნიც სკოლაში შემოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ $18^{95}/_{96}$ სასწავლო წლის ფულის ნახევარს.

5—5).

# ახალი ამბავი

—

*** ამ ჟამად ქალაქის გამგეობის აღმაშენებელს განყოფილებაში ადგენენ „ნაძალადევის“ უბნის ვრცელს გეგმას, რომელზედაც აღნიშნული იქნება ქუჩები, მოედნები და სხვანი. ის მამულები, რომლებზედაც ქუჩა-მოედანი გაივლის, დაიქცევა და იმათ პატრონებს ის ადგილები დაეთმობათ იჯარით, რომლებიც ქუჩა-მოედნისაგან თავისუფალი იქნება, ხოლო იმ სახლების პატრონებს-კი, რომლებიც ეხლავე რიგიანს ადგილებზედ იმყოფება და რომლებსაც ქუჩა არ გაიტანს, შეუძლიანთ ეხლავე შეეკრან ქალაქის გამგეობას პირობებით და იჯარით აიღონ რვა წლის ვადით. საიჯარო პირობები ვრცლად აქვს ქალაქს შემუშავებული და ყველას „ნაძალადეველს“ შეუძლია გაიცნოს ეს პირობები ქალაქის გამგეობაში, მდივან ს. თ. ჭრელაშვილთან.

*** ამას წინად ინჟინერმა ლინდლეიმ, რომელსაც ტფილისის ქალაქის თვით მმართველობამ მიანდო ტფილისის მიდამოებში იმ ადგილების გამოკვლევა, სადაც წყაროები ეგულებოდა, მოიარა მდინარე ხრამის მინდორ-ველი, წალკის ზემოდგან, სადაც, მისის აზრით, რაიცა დამყარებული აქვს იმ ადგილ-მიდამოს გეოლოგიურს მდგომარეობაზედ, საკმაოდ უხვი წყაროები მოიპოვება. ინჟინერს ლინდლეის ამ მოგზაურობის დროს თან ჰყავდნენ საბჭოს ხმოსანი პოლკოვნიკი ბოლგარსკი, ქალაქის ქიმიკოსი ალი გუგოვი და ინჟენერნი შ—ლდი და შლეიგოვსკი. მოგზაურობა დაიწყო მანგლისსა, ბარმაკლისსა და წალკაზედ, კიზილ-კილისის მხარეს, ხოლო იქიდგან-კი დედოფლის წყაროზედ დაბრუნდნენ თურმე. ამ ჟამად ბ-ნმა ლინდლეიმ აუწყა ბ-ნს ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელს, რომ ქ. ტფილისიდგან 80 ვერსის მანძილზედ, ისეთს ადგილას, რომელიც ტფილისზედ 3.500 ფუტ მაღლობზედ იმყოფება, ვიპოვნე დიდი წყაროები, რომელიც ცეცხლის მფრქვეველ მთის ახლო მომდინარე წყაროთა ჯგუფს ეკუთვნის და დაახლოვებით მოგვცემს ათ მილიონ ვედროზედ მეტს წმინდა ცივს წყალს რეომიურით 4° ტემპერატურისასაო. როგორც შევიტყეთ, ბ-ნი ლინდლეი, ხუთშაბათს, 27 ივლისს საზღვარ-გარეთ მიდის და ტფილისშივე დაბრუნდება ამ წლის ოქტომბრის თვეში. ჩამოსვლისათანავე იგი, იხელმძღვანელებს რა უკვე მოპოვებულის ცნობებითა და იმ ადგილის გეოლოგიურის თვისებით, გამოიკვლევს წყაროებს, იმ ადგილებს და ტფილისს შუა, ტფილისთან უფრო ახლო მდებარე მიდამოებში.

*** გაზეთ „კვალის“ სიტყვით, ტფილისის ქართველ ხელოსანთ განუზრახავთ მიართვან თავ. რ. ერისთავს საიუბილეო დღეს საწერი მაგიდა, რომლის გეგმაც უკვე შეუკვეთიათ ერთ ახალგაზდა ხუროთმოძღვრისათვის.

*** 17 ივლისს კისლავოდსკში გამართული იყო კონცერტი ქართულ-ხოროსი რატილის ლოტბარობით. კისლავოდსკის საზოგადოება დიდის აღტაცებით მოელოდა ამ კონცერტს, რომელმაც ჩაიარა მეტად მშვენივრად. საზოგადოება დიდ ძალი დაესწრო ამ კონცერტს, მთელი თეატრის დარბაზი გაჭედილი იყო სხვადა-სხვა ნაციის ხალხით.

ყველაზე მეტად დაესწრნენ ევროპიელნი, რომელნიც მიიზიდა გამოცხადებულმა ლეკურმა. ხორომ ყველა სიმღერები შეასრულა დიდის გრძნობით და ხელოვნებით. სხვათა

# ფელეტონი

—

***

მწერალო! საქმით რად არ ხარ
ის, რასაც ჩმახავ ენითა?..
რად არ მიმიღებ თანა-ძმად,
რადა ხარ ჩემზე წყენითა?
რისთვის გშურს შენთან მეც ვიყო
მხიარულ აღმა-ფრენითა,
რად შეგპყრობია სულ-ხორცი
მაგ საზარელი სენითა?!.
ისა სჯობია ემზგავსო
მთვარესა მანათობელსა,
გზა გაუნათო ბნელაში
მავალსა, ბედის მგმობელსა,
რომ მით აქ ღირსად უყვარდე
ქვეყანას შენსა მშობელსა
და მეც მაშორო სირცხვნეს,
კაცისა დამამხობელსა!..

ხელოსანი ნ. ნოშროვანიძე.

**ხალხის ცხოვრებიდგან.**

II

(დასასრული *).

— უკაცრაოთ, ის დრო წავიდა. ქალმა შეიყვაროს, თორემ დედ მამას აღარავინ რასა ჰკითხავს ჩვენს დროში. კაცის გული ზღვასა ჰგავს და ზღვაში ვინ ჩახედავს და ვინ გამოიცნობს, შიგ რა არის. ვინ იცის, იქნება გაიოზმა იმიტომაც გაიწირა თავი სასიკვდილოდ ამ საზარლად გაცოფებულ ალაზანში, რომ ეგება ამ ვაჟკაცობით მაინც შემიყვაროს ჩემმა ალის ქალმაო.

— იქნება მაგრეც იყოს, და ეს-კი—ნურას უკაცრაოთ—კიდე კარგა არა გცოდნია, რომ ეხლაც იგრევ ის დროა და საითაც დედ-მამას უნდათ—ქალებსაც იქით ისვრიან ცხვირის წვინტლივით თავიანთ ნება-ქეიფზედ. მაგრამ მე რომ ეხლა თუნდა თამარ მეფე ვიყო და ქალი მყოლოდა გასათხოვარი—გაიოზის მეტს არავის მივცემდი ქვეყანაზედ!

— შე დასაქცევო, რა-გზივ შეგყვარებია ი გაიოზი!—სიცილით უკიჟინეს მზე-ქალს დიაკვანმა და მალხაზომ.

— გმირი ვაჟკაცი მტრისაც საყვარელია,—უპასუხა მზე-ქალმა და გულ-აღტაცებულის ხმით წამოიძახა უეცრად: მოდის! მოდის! რამოდენა ხალხი მაჰდევს! აგე, თავ-შახვეულია გაიოზი.

— თავი რატო შაუხვევნია?

— ურმიდგან რომ გადამხტარა, ნაბდის ქუდი ალაზანს მოუტაცნია, და ვიღაცა თავადიშვილის ცოლმა ბაღდადი უფეშქაშა წელან: „აჰა, გმირო, თავ-შიშველა ნუ დახვალო“.

ზღვის ოდენა ხალხმა პირი იქით მიიბრუნა უცბად, საიდგანაც ზორბა, წამოსადეგი გაიოზი მოდიოდა თავის ახალის მეგობრებით და ძმა-ბიჭებით.

— ხაბარდა!.. ხაბარდა!.. დიდის ამბით და ყოფით ყვიროდნენ გაიოზის ძმობილები და გულის ამხანაგები.

ჭოჭყასავით გაჭედილი ხალხი შუაზედ გაირღვა და გზა მისცა გაიოზს, მღვდლის ურმისაკენ მიმავალს. ტურფად შვენოდა ვაჟკაცური სახის გამომეტყველებით შავ-წვერ-ულვაშა გაიოზი ბაღდადის თავსახვევში. შავიკუპრის დიდრონ თვალებს საამურად აბრიალებდა ცეცხლის ფრქვევით და ჩასველებული წითელი გულის-პირი პერანგისა ყაყაჩოსავით ულალანებდა შავ-ჩოხას-ქვეშ.

—ურააა!.. გაუმარჯოოოს!.. ყოჩაღ! ბარაქალა შენს ვაჟკაცობას!..—დაიგრიალა აზღვავებულმა ხალხმა აქეთ-იქიდგან. მთელი ხალხი გაიოზს აქებდა, უყურებდა, ჰლოცავდა და დაჰნატროდა. გასათხოვარი ქალები გულში გაიოზისთანა ვაჟკაც საქმროს ნატრობდნენ და ბევრს იმათგანს რაღაც აღტაცების ცრემლებიც-კი უბრწყინავდა ზღვასავით მღელვარე გრძნობებისაგან მიბნედილ თვალებში.

— აი, ღვდელო, გაიოზი! წამოიძახეს აქეთ იქიდამ.

მოხუცი მღვდელი გულ-ამღუღრებულის ქვითინით გადაეხვია უცნობ გაიოზს, მხურვალედ გადაჰკოცნა, აღელვებულის ხმით დაუწყო ლოცვა და მზის სხივებისაგან აბჭყვრიალებული ცრემლები წყნარ-წყნარად ჩამოსდიოდა ალმასის წინწკლებივით ქაღალდივით თეთრს წვერ-ულვაშზე. მღვდლის ცოლმა და სიდედრმაც ბევრი ლოცეს გაიოზი. მღვდლის გასათხოვარი ქალი და თორმეტ-ცამეტის წლის ვაჟიშვილი, რომლებიც გაიოზმა სიკვდილს პირიდამ გააგდებინა, ურემში იწვნენ ახლად მობრუნებულები და სიყვარულით გადმოსცქეროდნენ თავიანთ მხსნელს გაიოზს. როცა გაიოზმა წასვლა დააპირა, მღვდელმა ერთი წითელი თუმანი შეაძლია საჩუქრად, გაიოზმა არ აიღო, მღვდელი არ მოეხსნა.

— არა, მამაო, შენი შაწირულის მადლმა, ასი თუმანიც რო მიბოძო, არ ავიღებ; ეგ ხო ის გამოვა: ვითომც მე ფულისათვის გამემეტებინოს თავი. არა, მამაო, მაღალი უფლის მადლმა, მილიონადაც არ გავიმეტებ თავს სასიკვდილოდ, და გაჭირებული ადამიანის საშველად-კი—ყველთვინ მზათა ვარ მოვკვდე,—უთხრა ბოლოს გაიოზმა.

— ყოჩაღ! ბარაქალა შენ კაცობას! ჰაჯან ბიჭო! სან იახში, ბაშხაჲულემ, გაიოზ!—დაიგრიალა გაიოზის სიტყვით გულ-აღტაცებულმა ხალხმა აქეთ-იქიდამ.

— ღმერთი გაგიხდება, შვილო, მოწყალე მამა-მფარველად და ის აგამაღლებს მაგ წმინდა ქრისტიანული გულ-კეთილობისათვის და გაჭირვებულ ადამიანთა შებრალება-შველისათვის. დიაღაც, ფულისათვის არ გაიმეტე თავი, მაგრამ ჯილდოთ მიიღე ეს თუმანი სამაგალითო ვაჟკაცობისათვის, სულიერო შვილო ჩემო საყვარელო!—ჩამოეკიდა მღვდელი.

— მართლის გულით გეფიცები მთელი ქვეყნის წმინდანებს, მაღლა ღმერთს და ძირს დედა-მიწას, რო გაიოზმა შენ ფული არ გამოგართვას. რას ბრძანებ, მამაო, შენი და შენი სახლობის ლოცვა-კურთხევაც მეყო-

*) იხ. „ივერია“, № 156.

შორის, საზოგადოებას მოეწონა გურული მაყრული, დღეს მერცხალი, ხევ-ხევ თეონა, გოგონა ცეკვით და სხვა.

ევროპიულ სიმღერებში მოეწონათ დილა და ძინე. კონცერტის შემდეგ გამართულ იქმნა ლეკური. საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დაბრუნდა კონცერტიდგან. ხოროს განზრახვა აქვს მეორე კონცერტიც გამართოს.

—

რაჭულის ხოროს გაუმართავს კონცერტი ჯერ დუშეთში და მერე კავკავში, სადაც მრავალი საზოგადოება დასწრებია. პიატიგორსკში ორი კონცერტი, ესენტუკში, ჟელეზნოვოდსკში ყველა წყლებზე საზოგადოებას დიდის სიამოვნებით მოუსმენია ქართული ხმები და დიდად მოსწონებია. ამ სიმღერების მოსმენამ ბევრს ჩვენგანს გაუღვიძა გრძნობა და დაგვანახვა ჩვენი სამშობლო, საქართველო. წარმოგვიდგინა თვალწინ ქართლ-კახელი თავის ნაღვლიანისა და მწუხარის კილოთი და გურია-იმერეთი თავის სიმკვირცხლით და სიცოცხლით.

*** ჩვენ მივიღეთ წიგნაკი „ელექტრონი და საოცარი მანქანები“, შედგენილი მ. იანქოშვილისაგან და გამოცემული ნიკ. ქარუმიძისაგან. წიგნი კარგს ქაღალდზეა დაბეჭდილი, სურათებით—ედისონისა და მარზესი, შეიცავს 51 გვერდს და ღირს ერთი აბაზი.

გარდა ამისა წიგნს მანქანების ახსნასთან ერთად ჩართული აქვს სურათები და ტელეგრაფის ანბანი ქართულ-ფრანგულის ასოებით. შემდგენელს მოყვანილი აქვს აგრეთვე მოკლე ბიოგრაფიული ცნობები ედისონისა და მარზეს შესახებ.

*** კიევის გაზეთების სიტყვით ძლიერ გახშირდა ამ უკანასკნელ დროს ყალბი ქაღალდი ფული. უმეტეს ნაწილად ყალბი ფული სამ მანეთიანი და თუმნიანებია. მათი ნიშნები: 1) სამ-მანეთიანი ყალბი ფული: 1889 წლისა, სერია ბ. მ. № 863,457, კასსირი კარპოვი, 2) თუმნიანი ყალბი ფული: 1890 წლისა. სერია ა. ჩ. № 435, 297, კასსირი პეტროვი და 1892 წლისა სერია ა. მ. № 910,630. ეს ყალბი ფული ძლიერ ხელოვნურად არის გაკეთებული.

*** სოფ. ველისციხე, (სიღნაღის მაზრა): კახეთი არ მოსწრებია ასე საზოგადოდ ვენახების გაფუჭებასა. აპრილის პირველიდგან ივნისის ათამდის განუწყვეტლივმა ქარიშხლებმა და წვიმებმა აოდა ვაზი, ეცა წერნაგი,—„მილდიუთ“ მონათლული და ყურძენი სრულიად ჩამოცვივდა, ფოთოლიც ცეცხლ მოდებულს დაემზგავსა და ისიც სცვივა. ეს სენი მოდებულა მთელს კახეთში მეტ-ნაკლებათ; ხოლო დაბლობსა და ვაკე ადგილებში, როგორიც არის სოფლები: ველისციხე, კონდოლი, კურდღელაური, ყვარელი და სხვანი, ზოგი ვენახის ყურძენი ისეა ჩამოსული, რომ წამლათ არ მოიპოვება ისვრიმი. ველისციხე თუმცა ღვინის ბუდეთ ითვლება და კარგს დროს იძლევა 150,000 ვედრომდის ღვინოს, წელს 200 ვედროს იმედიც არა აქვთ. მართალია მაღლობ ადგილას ვენახები ცოტათიც არის ანუგეშებენ პატრონებს, მაგრამ ეს ისე გამოჩნდება, როგორც ზღვაში წვეთი.

## კორესპონდენცია.

—

**ს. ჭაგანი,** (ქუთაისის მაზრა). თუმცა ჭაგანი ჰქვია ჩვენს სოფელს, მარა უფრო ზეგანია. ამიტომ ახლანდელმა ხშირმა წვიმებმა-კი არ მოარიყა მიწა, პირიქით მშვენიერად შეერგო და სიმინდებს ძალიანი მოსავლის პირი უჩანს; აწი თუ არ დაგვექცია ჩვენძა დ მლუპველმა ზენამ, რომელიც შუა-შუა ტეხს სიმინდებს. მხოლოდ ეს არის, რომ ხშირის წვიმებისაგან გამცდარი ყანები წავიდა. ასეა ჭაგნის ირგვლივ მდებარე სოფლებშიაც. მუშის ქირა დღეში ოთხი აბაზია უკანასკნელი, მაგრამ გასაკვირველად ვილას სცალია, როცა საკუთარი ყანები უთოხარი აქვს. თუ შოულობენ საქირაოდ ისევ მთიელებს, რომლებიც ყოველ ზაფხულობით ჩამოდიან ბარად საქირაოდ, ვიდრე მათის პურის მკის დრო მოაწევდეს. ყანების წასვლა მარტო ხშირ წვიმების ბრალი როდია. აქ ბრალი იმ აღთქმასაც ედება, რომლის გამო კვირაში ერთი საქმის დღე უქმათაა ქცეული. აქ ძველად გვალვობაზედ უფლისთვის აღთქმა დაუდვიათ, პარასკევ დღეს შენ შემოგწირავთ, თუ წვიმას გვაღირსებო. დიაღ, ესენი ღვთის წინაშეც თავისებურად სწირავენ! ახლა ერთის დღის გაცდენა ერთის თვის გაცდენას უდრის. ბევრი მიხვდა, რა სიუგნურესაც წარმოადგენს ასეთი აღთქმა და ისევ ღვთის სიტყვაზედ ექვსის დღის მუშაობას დაუბრუნდნენ კვირაში, დანარჩენები-კი ისევ კერპულადასრულებენ აღთქმას.

კ. ა—ძე.

—

**ს. თერჯოლა,** (შორაპნის მაზრა). თითქმის ყოველს მიყრუებულს ზემო-იმერეთის სოფლებშიაც კი იდგამს ფეხს ნელ-ნელა განათლება, მაგრამ, საუბედუროდ ჩვენდა, ამას სრულიად მოკლებულია თერჯოლის საზოგადოება, სადაც ისე მაგრად გასკვნილა საძირკველი სიბნელისა, რომ ჯერ-ჯერობით ყოველი შრომა ზოგიერთა გულ-შემატკივართა სიბნელის განდევნისათვის ამაოდ რჩება. ხსენებულს საზოგადოებას შეადგენს ათასამდე კომლი გლეხ-კაცობა გარ და თავად-აზნაურობისა. ამოდენა საზოგადოებას, არა აქვს ერთი ხეირიანი სკოლა, რომ შესძლებოდათ მათს შვილებს სამშობლო ენა მაინც კარგად შეეთვისებინათ—თუ სხვა არა, მაგრამ არამც თუ ხეირიანი სკოლა ვერ დაუარსებიათ, არამედ სამრევლო სკოლა, რომელიც არსებობს ამავე საზოგადოებაში აგერ ათი-თერთმეტი წელიწადია, არაფერს სანატრელ მდგომარეობაშია ხალხის გულ-გრილობის გამო. ამ სკოლაში წელს სწავლობ და თორმეტი ყმაწვილი, როდესაც ჭაბუკ მთის წ. დის გიორგის ეკკლესიას, სადაც ეს სკოლა არსებობს, ორას-სამოცამდე კომლი ეკუთვნის. ყმაწვილები გამოცდის დროს კარგად მომზადებულები აღმოჩნენ. არის კიდევ ერთი სკოლა ამავე საზოგადოებაში სამების ეკკლესიაზედ; ეს სკოლაც იმავე მდგომარეობაშია, როგორც პირველი. იშვიათად შეხვდებით ისეთს გლეხს, რომ სწავლა ინატროს; მაგრამ უსწავლელი როგორ გავამტყუნოთ, როდესაც აქ ისეთი პირები არიან, რომელთაც სწავლა დაუმთავრებიათ საშუალო სასწავლებლებში; ამათ ვერ უპოვით ვერც ერთ ქართულს წიგნს, ვერც ერთ ქართულ ჟურნალ-გაზეთს. ვერაფრით ვერ გაარჩევ მათ სოფლელ უვიც გლეხებისგან, რასაკვირველია, ხალხი შემცქერი ასეთის ნასწავლებისა, გულ-გრილად დაუწყებს ყურებას სწავლას. აი ესეთი მაგალითის მაჩვენებლები ჰყავს ჩვენს საზოგადოებას.

ვასო ქალადიძელი.

## ხულოს ეკკლესიის დაქცევა.

(75 წლის ყადი-ოღლი ბოლქვაძის ნაამბობი).

ხულოში დიდი მშვენიერი ეკკლესია ყოფილა, მთელი ეკკლესია თლილის ქვით ნაშენი. მე არ მინახავს და მამაჩემი-კი იტყოდა ხოლმე, რომ ხულოს ეკკლესია ტბეთისთანა იყოო, სხალტას სჯობდაო. ამ ეკკლესიის მღვდლებად ჩვენი გვარის კაცები იყვნენო, ბოლქვაძეები. ქართველებს რომ გათათრება დაუწყეს, მაშინ ჩვენი ძველებიც გაათათრეს. გათათრებულს მღვდელს ბოლქვაძეს ყადობა მისცეს და ამიტომ გვეწოდა ჩვენ ყადი ოღლი. ჩვენ თუმცა თათრებად გადავკეთდით, მაგრამ ხულოს ეკკლესიას-კი პატივისცემას და პატრონობას არ ვაკლებდით. სუფთად ვინახავდით. ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილი რომ გაძლიერდა, მაშინ ამან დაიწყო სხალტას ეკკლესიის დაქცევის ფიქრები. მიზეზი არავინ არ იცოდა. ერთს დღეს ახმედ ფაშა ხიმშიაშვილმა დაიბარა ჩვენი პაპა და გამოუცხადა ასე:

— ხულოს ეკკლესია უნდა დავაქციოთ და გიცხადებ, ხალხი მოაგროვოთ დასაქცევად.

— როგორ შეიძლება, ფაშავ, მისი დაქცევა. ის ჩვენის ძველების სალოცავი იყო, სალოცავი მუსლიმანის თუ ქრისტიანის, ორივ ერთია და როგორ იქნება მისი დაქცევა.

— უეჭველად უნდა დაიქცეს, სთქვა ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილმა.

— ჯამედ გადავაკეთოთ, ცოდვაა მისი დაქცევა. მიუგო ყადი ოღლი ბოლქვაძემ.

— არ შეიძლება. ეგ მაგარი ქვის ეკკლესია არის, დღეს თუ ხვალ აქ ქართველნი მოვლენ, იგინი ამ ეკკლესიაში შევლენ, აქედგან დაგვიწყებენ ბრძოლას და მოგვერევიან, ჩვენ მაშინ მათთან ვერაფერს გავაწყობთ. საქმე წაგვიხდება. ქვის ჯამე ჩვენთვის საჭირო არ არის, მისს ალაგას ხის ჯამე ავაგოთო, სთქვა ახმედ-ფაშამ.

— ფაშა! ხის ჯამე დალპება, ყოველთვის შიში ექნება და ქვის ჯამეს-კი არაფერი წაუხდება. ნუ ვიქმს, ნუ დავაქცევთ.

— არ შეიძლება, უნდა დავაქციოთ, მისი შიში გვაქვს.

რამდენისამე ხნის შემდეგ ახმედ-ფაშას ბრძანებას შესრულება დაუწყეს და ეკკლესია დააქციეს. ისე დააქციეს, რომ საძირკვლისა მხოლოდ ერთი არშინი კედელი-ღა დასტოვეს, მაშინ მთელი ხულო სავსე ყოფილა ეკკლესიის ქვებით, ქვების უმეტესი ნაწილი ახმედ-ფაშას გაუზიდვინებია და იქვე ხულოში თავისთვის აბანო და სარაია გაუკეთებინებია. ზოგი ქვები ახმარეს ხიმშიაშვილების სასაფლაოს გარსშემოსავლებულს გალავანს, ზოგი ქვებით იქვე ახლოს წყარო გააკეთეს, ეს წყარო დღევანდლამდის არის დაშთენილი ჯამეს გვერდით და ზოგი ქვები სოფლელებმა გაზიდეს სახლების საკეთებლად. ეკკლესიის კედლებზედ დადგეს ხის ჯამე. გავიდა რამდენიმე ხანი და ხის ჯამე დალპა, დამპალი დააქციეს და მის ალაგას ახალი დადგეს, რამდენიმე ხნის შემდეგ ახმედ ფაშას სახლ-კარი და სა-

---

ფა ჯილდოთ,—გადაწყვეტით უპასუხა გაიოზმა და თან ხალხის მხურვალე თანაგრძნობით გულ-ნასიამოვნებს ელვასავით უბრწყინავდა შავი გიშრის თვალები.

— კარგი, შვილო, კარგი. მაშ ყოვლად მოწყალე და ძლიერი ღმერთი დაგ ჯილდოებს ჩემ მაგიერად: მადლი და სიკეთე არ დაიკარგება ქვეყანაზედ. როგორიც ჩვენ სხვისათვის ვიქნებით, სხვაც იგეთი იქნება ჩვენთვის, და თუ ჩვენ სხვისათვის არ ვიზრუნებთ კეთილს, არც სხვა მოიწადინებს ჩვენთვის კარგს და არც ღმერთს ვეყვარებით ეშმაკივით მარტო თავისს თავზედ მზრუნველი. დიაღ, ვინც რას დავთესავთ—იმასვე მოვიმკით ორთავ-სოფლათ. კურთხეულ იყვნენ შენი მშობელნი, აღმზრდელნი და კეთილათ დამრიგებელნი ამიერიდგან უკუნისამდე. კურთხეულ იყავ, შვილო, შენც ცათა შინა და სიკვდილამდე ვილოცავ შენთვის, რათა ჩვენთვის ჯვარ-ცმულმა ძე ღვთისა იესო-ქრისტე-მაცხოვარმა დაგიხსნას და დაგიფაროს ყველა მწუხარება-განსაცდელისაგან ჩემი შვილების სიკვდილიდამ დახსნისათვის!—ღრმა სასოების აღფრთოვანებით უთხრა მღვდელმაც, დაიწერეს გაიოზის ვინაობა, აცნობა თავისიც და ცრემლ-ძორეულმა კიდევ მხურვალე ლოცვა-კურთხევით გადაკოცნა გაიოზი ღვიძლი შვილივით. ამ დროს მოავალ ხალხს, რომელიც ღვდლის ურემ სახლობას ზღვასავით შემოჰრტყოდა გარშემო და მღვდლის ლაპარაკზედ სმენად გადაქცეულიყო, გული ასჩვილებოდა, ათასგვარი გრძნობა-ფიქრები აჰმლოდა და ლაპა-ლუპით გადმოსდიოდა ცრემლები.

გულ მხურვალე დარიგება-სიყვარულისათვის თავაზიანის მადლობის გარდახდით გამოემშვიდობა გაიოზი მღვდელსა და მის სახლობას და გასწივა თავისს ურმისაკენ. ფუტკრის ჟოლივით შედედებული ხალხი კიდევ ურასა და გაუმარჯოს მისძახოდა გუგუნ-გრიალით მიმავალ გაიოზს და შეჯგუფებულ მდინარესავით მირუედებოდა შებმულ ურმებისაკენ.

დაიძრა ფერად-სახოვანი ურმები ალაზნის პირიდამ და შორით-შორამდე გაიძახა ჭრიალით მწვანე ხავერდის გულ-მოქარგულ ტრიალ მინდორზე, რომელიც საუცხოვოდ იყო აჭრელებული ნაწყვეტ ნაწყვეტი ტყე-ჭალაკებით, ოლე-ტბებით, ცხვარ-ძროხის ფარა-ნახირებით და ნახნავ-ნათესებით. სიცოცხლით სავსე მწყ მსები მწვანე გორაკ ბორცვებზე ასულიყვნენ და კავ-კომბლებზე დაბჯენილები გასცქერ გამოსცქეროდნენ წუთის-ოფლის სამოთხესავით დასურათხატებულ ალაზნის თვალ უწვდომ მინდორ-ველს—ადამიანის გულ-გონების გამტაცებელ ბუნების მშვენიერესებას, კახეთ-ქიზიყის მთა-გრეხილის სერობიან-ველობიანების მწვანე ხასხასა ფერდობებზე სურათებივით შეფენილ სოფლებს და იმ სოფლების მაღალ-მთის წვერებიდამ ცის კიდურ-ტატნობებზე მედიდურად გამოჭიმულ ეკკლესია ციხე-კოშკებს, უძველესთა ღომ-გმირთა ხელით ნაშენებს მოძმე-ქვეყნის ურჯულოს მტერთაგან დასაცველად ის გარკინტინებული ეკკლესია-ციხე-კოშკები არიან მოწამენი იმ მძლეთა მძლეველი ქართველ-გმირებისა, რომელთა შიშით ცაში ავი ფრინველიც ვერ გაიწაწანებდა და დედამიწაზედ მავნე ქვემძრომელიც ვერ გაიჩუჩუნებდა.

გატაცებით ვუცქეროდი ალაზნის ტურფად გადაჭიმულ ველიდამ იმ უძველეს ეკკლესია-ციხეებს და თან შემდეგი ფიქრი მომდიოდა თავის თავად: „ვინ იცის, რამდენ ქართველ გმირთა წმიდა ცრემლი და სისხლი დახთხეულა მათ გარეშემო; ვინ იცის, ძათვე მახლობლად რამდენთ მოძმე მამულის სიყვარულით აღსავსე ქართველთა დედებს და მამებს უტირნიათ გულ-მდუღარედ და გაუმხნევებიათ საგმირო სიტყვებით თავიანთ გულზე მიკრული ვაჟ-შვილები კარზე მომდგარ მტერთან თავ-განწირვით საომრად; ვინ იცის, მათ არე მარე მიდამოებში რამდენჯერ უგრგვინვია ცის ჭექა-ქუხილივით თავ-დადებულ გმირთა ასეთ ხმა-გაფიცვას: მკლავ-გულძლიერნო ქართველნო! ეს ხომ ყველამ ვიცით, რომ „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“, მაშ დედა შეერთოს ცოლათ, დედა! და მგლის მუცელში დაიმარხოს, ვინც მტერს ზურგი უჩვენოს, ვინც ჩვენ საერთო-საქვეყნო წმინდა საქმეს უღალატოს ქრისტეს გამყიდავ იუდასავით და ერთმა ყველასთვის და ყველამ ერისათვის თავი არ დადვას! ამინ!.. სიკვდილი მტერს! სიკვდილი!.. ვინ იცის, მათ გარემოს მტერთან მედგრად ბრძოლაში რამდენი ციდამ მოწყვეტილ მთვარესავით ვაჟკაცი შეჰკდომია მისისხლე დუშმანს გულგარისხებულ ლომივით და საუკუნოდ გამოჰსალმებია ბრძოლის ველზე სულმობრძავი თავის საყვარელ ცოლ-შვილს და სახლ-კარს—და ყველა ეს სიცოცხლე-სიხარულის დათმობა, გულგამეხების თავ-განწირვა, თავზე წამების კვირგვინის დადგმა და სიკვდილი იმიტო უმჯობინებიათ, რომ მომავალ თაობას საკუთარი რჯული და ქვეყანა არ დავუკარგოთ და იქ ღვთისგან შერჩენებულნი და აქ ჩამომავლობისაგან წყეულ-კრულნი არ შევიქმნათო. ო, ღმერთო, ღმერთო! იმათ მაღალ გრძნობა-სულთან შედარებით რანი-ღა ვართ აწინდელნი ქართველნი: მომავლი ფეხებზედ გვკიდია, ნამდვილ მამულის შვილად ყოფნის უპირველესნი საქმენი კარსუკან მიგვიფოჩოჩებია, ყველანი მლოდავ ქია-მატლივით ჯიბე-მუცლის მონებად გადავქცეულვართ, მზათა ვართ კერძო-პიროვნულ სარფის გულისათვის თუნდა მთელის ქვეყნის პირუტყვთა ზნე-ჩვეულებაც შევისისხლ-ხორცოთ საშვილი-შვილოდ გარდასაცემად და ყველას დიდრონის ასოებით გვაწერია თეთრის პერანგით დაფარულ შავს გულზედ: „თუ მე არ ვიქნები—თუნდა ქვა-ქვაზედაც ნუღა იქნებაო“, აი ჩვენი ეხლანდელი „გმირობა“ და „ვაჟკაცობა“! ოჰ, ჩვენო დაკარგულო დიდებავ, რანი ვყოფილვართ და აწ რა-

რაიაც დაიქცა და ყველაფერი გაფუჭდა. ამის შემდეგ არ გავიდა დიხანი, რომ ხულოში მტერიც მოვიდა და ყველაფერი დაიმორჩილა. მტრის მოსვლას ვერც არა ეკკლესიის დაქცევამ უშველა და ვერც არა სხვა სიმაგრეებმა. ძველები იტყოდნენ ხოლმე, რომ ახმედ ფაშამ ეკკლესიის დაქცევით ღმერთი გაარისხა, კარგი საქმე არ ქმნა; ხალხი იტყოდა ხოლმეო, რომ მისი სახლ-კარიც ისევე დაიქცევაო და ეს თქმულობაც მართლა აღსრულდა, დღეს მისი სახლ-კარი ხულოში ნანგრევად არის ქცეული და ქვებს სოფლელები მიეზიდებიან აქა-იქ სახლების საკეთებლადაო.

მე ვნახე ხულოს ჯამეს საძირკველი, ხიმშიაშვილების სასაფლაოს კედლები, ჯამეს გვერდით გაკეთებული წყარო, ხულოში ყოფილი და აწ დაქცეული ხიმშიაშვილების სახლები და იქ ძლიერ ბევრი ჩუქურთმიანი ქვები აღმოჩნდა, რომელთაც ცხადად ეტყობა, რომ ისინი წინად ეკკლესიად უნდა ყოფილიყვნენ.

II

(ჩაქვისთავკელის ღრმად მოხუც უადის ჩიჯავაძის ნაამბობი).

აჭარაში გათათრების საქმე ერთობ გაძნელებულა, ზოგიერთი მოხუცებული კაცები და ნამეტურ დედაკაცები ქრისტიანობაზედ მტკიცედ იდგნენ და თან ოსმალოს მოლა-ხოჯებსაც ეკამათებოდნენ და ედავებოდნენ; ამ მოხუცებულებს ყოველთვის და ყოველგან სულ ქრისტიანობაზედ ჰქონდათ ლაპარაკი. ახალგაზდებს ყოველთვის იმას ელაპარაკებოდნენ, რომ ეგები ოდესმე თქვენის ძველების სჯულზედ გადახვიდეთ თქვენაო. ასეთ მოხუცებულთ რიცხვი აჭარაში დიდი ყოფილა, ამათ თურმე მოლა-ხოჯებს გაუჭირეს საქმე. ბოლოს მთავრობისაგან ასეთი ბრძანება გამოსულა, რომ ყველა ეგენი დაიჭირეთ და გაათათრეთო, თუ არ გათათრდნენ მერე დახოცეთო. მალე აჭარის მოხუცებულნი შეუკრებიათ და აქა-იქ ციხეებში დაუმწყვდევიათ, საპატიმროებში ხოჯები მიუგზავნიათ და ხოჯებს ლოცვები დაუწყიათ, ზოგიერთი მოხუცებულები მიუზიდნიათ მაჰმადიანობაზედ და ზოგნი-კი ვერა. ვინც ვერ მიაქციეს, ესენი აჭარ წყლის შესართავთან მოურეკიათ, სადაც ძველად თამარ მეფის ხიდი ყოფილა და რომელ ხიდის ნიშნებიც დღესაც სდგას. ამ ხიდზედ დაუდვიათ თავ-საკვეთი, მოხუც ქრისტიანებს თავს სჭრიდნენ, მერე ენის წვერს ფაშას უგზავნიდნენ და თავსა და ტანს ჭოროხში ჰყრიდნენო. ეს საქმეები მომხდარა ამ ასი წლის წინად, ე. ი. 1790 წლებში.

ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება).

## რუსეთის ცხოვრება.

ახალი წესდება მეთევზეობის შესახებ, როგორც გაზ. „მოსკოვ. ვედ“-ს შეუტყვია, სახელმწიფო საბჭოს მომავალის წლის გაზაფხულზედ წარედგინება.

—

როგორც ხმა დადის, გამსესხებელ კასებზედ გარდასახადი უნდა მომატებულ იქმნასო. გარდასახადი მოემატებათ დიდ საგუბერნიო ოქალაქებში გამსესხებელს კასებს.

—

როგორც გაზ. „მოსკ. ვედ.“-ს შეუტყვია, სახელმწიფო ბანკში შესანახად შეტანილ ფულზედ საგერბო გარდასახადი შეუმცირებიათ.

—

პროექტი იმის შესახებ, რომ სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ადგილობრივი ორგანოები დააარსოს, რომელიც თვით მინისტრის ა. ს. ერმოლოვის ხელმძღვანელობით იქმნა შემუშავებული, უკვე დაუთავებიათ. იმ დრომდის, ვიდრე პროექტს სახელმწიფო საბჭოს წარუდგენდნენ, იგი იქმნება განხილული სამეურნეო საბჭოს მეორე სესსიაზედ, რომელიც წრეულ შარშანდელზედ ადრე იქნება მოწვეული.

# უცხოეთი

—

**ინგლისი.** ახლა ვიცით თითქმის სრულად შედეგი ინგლისის პარლამენტის არჩევანებისა; ჯერ არ არის გაზეთებში მხოლოდ ოთხის კანდიდატის არჩევანის შედეგი, რაც პარტიების მდგომარეობას, რასაკვირველია, არაფრად შესცვლის. დიდი და სრული გამარჯვება ხვდა მთავრობის პარტიებს: კონსერვატორებს და ლიბერალ-დისიდენტებს, რომლებსაც ერთად უწოდებენ უნიონისტთა პარტიის სახელს; ძალიან დამარცხდა ლიბერალთა პარტია; ხოლო ირლანდიელებმა დაიცვეს თვისი წინანდელი მდგომარეობა... აი არჩევნების ანგარიში: კონსერვატორი არჩეულია — 338, ლიბერალ-უნიონისტი — 73, მაშასადამე, სულ მთავრობის პარტია შესდგება 411 დეპუტატისაგან. ლიბერალი არჩეულია — 177, ანტიპარნელისტი — 69, პარნელისტი — 12, მაშასადამე, ოპპოზიცია შესდგება 258 დეპუტატისაგან. ამ ანგარიშის მიხედვით, მომავალს პარლამენტში მთავრობას ეყოლება 150 ხმის ან ცოტა უმეტესის უმრავლესობა.

—

**ბელგია.** უკანასკნელ დროს ბელგიის მთავრობამ შეიმუშავა კანონპროექტი, რომელიც შეეხება სახალხო სკოლის პროგრამის შეცვლას. ახალის პროექტით განზრახულია — საერო სკოლებში სასულიერო წოდების გავლენა გაძლიერდეს. ამ განზრახვამ დიდად აღელვა ბელგიის ერი და ყოველ დღე იმართება მანიფესტაციები და მიტინგები სასკოლო პროექტის წინააღმდეგ. 17 ივლისს დიდი მანიფესტაცია იყო სატახტო ქალაქ ბრიუსელში. მანიფესტაციაში მონაწილეობა მიიღო 60,000 კაცზე მეტმა, სხვათა შორის, პარლამენტის დეპუტატებმა და სენატორებმაც. წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა პროექტის წინააღმდეგ და ბოლოს დეპუტატებს გარდაეცა მრავალ ხალხისაგან ხელ-მოწერილი პროტესტი პარლამენტისთვის წარსადგენად.

—

**საფრანგეთი.** მადაგასკარის შესახებ „ბერლინერ ტაგბლატტ“-ში დაბეჭდილია დეპეშა სხენებულ გაზეთის ერთის კორესპონდენტისა მაჯუნგიდგან. როგორც დეპეშიდგანა სჩანს, ფრანგთა საქმე მადაგასკარზედ არაფერს სახარბიელო მდგომარეობაში ყოფილა. 25 $_0/^0$ საფრანგეთის ოფიცრებისა ავად არის, ხოლო რაც შეეხება ავადმყოფ დაბალ ჯარის კაცთ, მათი რიცხვი ხომ ორჯელ მეტია. მაგრამ ამავე გაზეთში მოთხრობილია საფრანგეთისათვის შემდეგი სასიხარულო ამბავი:

ჰავასის მთავრობა გაკოტრებას აპირებს; უსაჭიროეს საგნებისათვის ფული აღარ ჰყოფნის. ჰავასელთა უმეტესი ნაწილი პირველის მინისტრის სამსახურიდგან გადაყენებას თხოულობს, რაიცა რევოლიუციას უდრისო.

ამბობენ, ტანანარივში არეულობა მოხდა და დედოფალი იძულებული გახდა პროვინციაში დამალულიყო. ჰავასთა ბანაკში დიდი არეულობა, უკმაყოფილება და უწესოებაა ჩამოვარდნილი, ასე რომ ევროპიელები ძალიან შიშობენ.

—

ოფიციოზურს გაზეთებში გამოცხადებულმა ფრანგ-ჩინელთა ხელ-შეკრულობამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზედ. საფრანგეთში ყველა დარწმუნებულია ეხლა, რომ რუსეთთან დაახლოვება მათთვის სასარგებლო ყოფილა შორეულ აღმოსავლეთის საქმეებში. ტონკინის დაპყრობის შემდეგ ჩინეთი მტრულის თვალით უყურებდა საფრანგეთს. ეს იმითი მტკიცდებოდა, რომ ჩინეთი არავითარს საშუალებას არ ხმარობდა საზღვრებზედ მომხდარ ძარცვა-გლეჯის წინააღმდეგ და აიუნშიაც არ იგდებდა. ახალი ხელშეკრულობა სრულიად ჰსპობს ასეთს დამოკიდებულებას. ამ ხელშეკრულობის ძალით მთელი სამხრეთ-ჩინეთი საფრანგეთისათვის გახსნილია და რამდენსამე საკონსულოს აარსებას აქ. საფრანგეთს მიეცა უფლება მდ. მეკონგის სათაურში, იუნანისა, კვანგსისა და კვანგ ტუნგის პროვინციებში მადნების ძებნისა და აგრეთვე უფლება იმისი, რომ ტონკინიდგან რკინის გზა გაიყვანოს ჩინეთის სხვა-და-სხვა ადგილებში. გარდა ამისა საფრანგეთის საქონელზედ საბაჟო გარდასახადი დაკლებულია და ზოგიერთი სხვა უპირატესობანიც მიენიჭა.

ამ რიგად შორეულ აღმოსავლეთის პოლიტიკამ დიდი სარგებლობა მოუტანა საფრანგეთს.

—

**იაპონია.** ინგლისელ და ერმაგნულ გაზეთების სიტყვით ძნელია გამოხატვა იმ სიძულვილისა რომელსაც ჰგრძნობენ იაპონელები რუსეთის მიმართ. ისეთი გავლენა იქონია იაპონიაზედ ევროპის სახელმწიფოთა აღმოსავლეთ აზიის საქმეებში ჩარევამ, რომ იაპონელები ჯერაც ვერ მოსულან გონს. უმეტესად რუსეთზედ არიან გაბრაზებულნი. ქუჩებზედ, რკინის გზაზედ — ვაგონებში მათი სალაპარაკო საგანი ომია. იაპონელებს არ უნდათ აპატიონ რუსეთს ამისთანა საქციელი; მათ იციან, რომ სამ სახელმწიფოთა წინააღმდეგ უძლურნი არიან, მაგრამ დარწმუნებულნი არიან, მარტო რუსეთს-კი ადვილად გაუმკლავდებიანო“-ო, — ამბობს გაზეთი „დაილი ნიუზი“.

## უცხოეთის წვრილი ამბავი.

—

ზარისიდგან მოსულ ცნობებიდგან სჩანს, რომ ამ ზაფხულს სარა ბერნარი გაათავებს თავის მემუარებს. ამერიკულ წიგნის გამომცემელმა საზოგადოებამ სარა ბერნარს მემუარების გამოცემაში 800,000 ფრანკი შესძლია. მაგრამ მას თვით უნდა ცამოსცეს იგინი. უკანასკნელად გამოცემულს მემუარს სურათები ექნება ჩართული და ეღირება 200 ფრანკი.

—

იმპერატორი ვილჰელმი ეხლა შვეიცარიაში იმყოფება. კანცლერს შეუძლია აუწყოს მხოლოდ უსაჭიროესი საქმეები.

ლანი ვართ!..“ ასეთი შავ-ბნელი ფიქრები მებადებოდნენ თავისნებათ იმ ციხე-კოშკების დანახვაზედ, ჩემდა უნებურადვე ამდუღრებულის გრძნობებისაგან გული სისხლის ცრემლად მღვრებოდა, გულის ნაგრძნობი უანგარიშო ჭირ-ვარამი აზღვავებულ ნისლივით მეშლებოდა და საფლავის მძიმე ლოდივით მაწვებოდა გულზედ სისხლის მომშხამავი სევდა-ნაღვლით სულ-შეგუბებულს; მაგრამ, თითქოს მიმკვდარებულს გამოჰფხიზლდაო, ისე უცბად გამოიზაფხულა დაზამთრებულმა გულმა და მოვცოცხლდი, როცა იმოდენა მეურმეებმა ტკბილზედ უტკბესი „ჰოროველა“ გააძრიალეს.

იქამდის ღრმად-საგრძნობელი იყო იმათგან „ჰოროველაში“ დანამღერი სიტყვები, რომ ორიოდეს მაინც მოგახსენებთ ნიმუშად. ჯერ მზე ისევ ერთი შუბის ტარზედა იდგა და სანატრელად აღაღანებდა დიდის მთებით შემოციხულ ალაზნის ედემ-ბაღის მინდორ-ველს და მლოცავების ფერად-ფერადად გადაკამარებულ გაბმივ მიმდინარე ურმებს. გაიოზის ურემ-წინ ვიღაც მეურმემ მცვედან ხარს შოლტი გადუტყლაშუნა და და ტკბილად დაიღუღუნა გულ-სევდიანის ხმით:

შეკერგოს ძუძუ ნაწოვნი
და მშობლის ტკბილი ნანაო,
დედამ რო შვილი გაზარდოს —
ე მაგრე შენისთანაო!

მის უმალ მეორე მეურმემ ჩააწკრიალა:

ვერ მოხვალთ ქიზიყელებთან,
ნუ დაიკვეხებთ მასაო,
უფალი გმირებს ეძახის,
და ქრისტე-ღმერთი ძმასაო.

ახლა მესამემ დაიღიღინა:

წმინდა ნინო მოციქულმაც
ქიზიყი ამჯობინაო,
საქართველო რო განათლა,
ქიზიყს დაიდვა ბინაო,

მერე მეოთხემ ჩაარაკრაკა:

ბევრი რათ უნდა დედასა,
ერთი სჯობს სახელ-ქებული,
წავა და ომში მოკვდება,
თავი აქვს გადადებული.

მას უკან მეხუთემ შემოსძახა:

ომში კაცს უნდა ფარხმალი,
გული და გამოცდილება,
მოიცლის — ლამაზ გოგოსთან
შეყრა და დაქორწილება.

იმას მეექვსემ მოსცა ხმა:

ქალმა სთქვა ძუძუ-კოკობმა:
ბიჭმა ვერ მომაღორაო,
გმირმა-კი გული მომტაცა,
დედ-მამას დამაშორაო.

მის შემდეგ მეშვიდე ამეტყველდა:

ვაჟკაცსა გული რკინისა,
ხანჯალი თუნდა ხისაო,
მტერსა უწყვეტდეს სინსილსა,
მოყვრებს უწევდეს ლხინსაო.

მას მერვე გამოეხმაურა:

ვაი რა დიდი ბრალია:
შავარდენი ჰყავ ძერასა,
გაუფრინდება, წაუვა,
შორით დაუწყებს მზერასა.

ახლა მეცხრემ აატირა:

მამულო, შენთვის მოვკვდები,
შენთვის ჩავიცვამ შავსაო,
შენ შემოგწირავ სიცოცხლეს,
შემოგევლები თავსაო!

მეათემ მისძახა:

ვაჟკაცსა უნდა უყვარდეს
მამული, თავის ერიო,
არ შედრკეს, თუნდა ბუზივით
ეხვიოს თავზე მტერიო!

მეთერთმეტემ ჩამოართვა:

არ უღალატოს სიმართლე!,
არ შეიცვალოს ფერიო,
თორე დაჰგმობს და დაჰწყევლის
მოძმე ერი და ბერიო.

მეთორმეტემ დაუსკვნათ:

ვინც ერთგულია ქვეყნისა —
საქმეში გამოჩნდებაო,
სიტყვით-კი ნაცარქექიაც
ლომი და გმირი ხდებაო.

და ამ რიგად ყველა მეურმე აღუღუნდა ტკბილ ხმოვან მტრედივით ოქროს ენის დამბადებელ უხილავპოეტთა საგულის-გულო მარგალიტებით, გარდა გაიოზისა, რომლის ურემში მიცვალებულს ამდუღრებულის ქვითინით და მწარე გმინვაგოდებით დაჰზუზუნებდა დედ-მამა და იმათი ქალი, გაიავარდებული თიკო, მაცოცხლებელი მზე და მთვარე გაიოზის სანეტარო ოცნებისა.

მხარ-იღლივ კოხტად შოლტ-გადაგდებული გაიოზი თვალებ-გამტერებით იჯდა მიმავალ ურმის კოფოზე და დანიღვებით ფიქრობდა: „ახ, ნეტავი ვიცოდე, დღეს მაინც არ შეეპარა თიკოს გულს ჩემი სიყვარული“. ბოლოს რაღაც აღტაცებულ გუნებაზე მოვიდა, ძალზე სწყუროდა თავის უზომო ჭირი და ლხინი მჩქეფარე შადრევანივით ამოემდიხარებინა გულის სიღრმიდგან გულის ამდუღებელ ლექსების დაძახილით, მაგრამ მიცვალებული მოაგონდა, მიცვალებულმა თავისის დედის წამებული სიკვდილი გაახსენა, სისხლის ცრემლით ადუღრებულმა გულმა მშვენიერი სახე წნორივით აუთრთოლა და ცხარე მდუღარება ახკარა წყაროსავით გადმოჰსქდა თვალებიდგან თქრიალით. ვინ იცის, რამდენი ტანჯვა-მწუხარება სულისა და რამდენი უიმედო საიდუმლონი გულისა ამოჩუხჩუხებდა გაიოზის ამომდინარე ცრემლთა ნაგუბრიდგან! ოჰ, გულო, სიყრმიდგანვე სიღარიბით დამწვარ-დადაგულო ადამიანისავ, შენ ოკეანეს გამოურკვეველი სიღრმე ხარ და თვით ხალხის ზნეყოფა ცხოვრების ფოტოგრაფიულად დამსურათხატებელს და პოეტის უსაზღვრო გულის ძირამდის ჩამჭვრეტელს გენიოსსაც-კი გაუჭირდება შენთა ძლიერთა გრძნობათა სულის კვეთების ძლიერად გამოხატვა, და მე ხომ სულაც არ ძალ-მიძს ხალხის გულის ჭირ-ვარმის სისრულით ამომეტყველი ენა ამოვიდგა ჩემ-თავად, როდესაც ზენას არ მოუცია ჩემთვის ის უკვდავი ნიჭი მადლისა და დემოსთენ — რუსთაველისებური სიტყვა-მარგალიტები მძლეთა-მძლევი მჭევრმეტყველებისა.

დ. მაჩხანელი.

მომეტებულს დროს ხელოვნებას ანდომებს. სწერს ოპერეტს და მუსიკას ყოველ დღე-ს ორს საათს ანდომებს. ოპერეტი იქნება წარმოდგენილი ბერლინში მომავალს ზამთარს.

## შემოწირულება.

ყარ'ის ქართველობაში შეგროვდა 43 მანეთი მომავალ საქალებო სასწავლებლის სასარგებლოდ. ამ ფულს გიგზავნით და უმორჩილესად გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში სია შემომწირველთა.

სამ-სამი მანეთი შემოსწირეს:

მღ. ზ. ლუკიანიშვილმა, დ. კიკნაძემ, ალ. ზალდასტანიშვილმა, აზ. დავ. აპრესიანცმა და მ. კოჭლაძემ.

ორ-ორი მანეთი:

კნ. ოლღა მიქელაძისამ, თავ. ალ. მიქელაძემ, თავ. ს. ერისთავმა, ან. ნინიაშვილისამ, ე. ბაქრაძემ და ბ. ზედგინიძემ.

თითო მანეთი:

მღ. ს. იმერლიშვილმა, პ. საულიდმა, გ. წითლიძემ, ა. ბეგზადოვმა, დ. ხოშტარიამ, ევ. გერსამიამ, კნ. მ. ციციშვილისამ, ვლ. ოსიტაშვილმა, ნ. შლინგოვსკისამ, ე. ზალდასტანიშვილმა, ნ. ასათიანმა, პ. ქავთარაძემ, თავ. ალ. ანდრონიკაშვილმა, ნიკ. ტერ-სტეფანოვმა და ლ. რევიშვილმა.

მთავ. პ. ხუციშვილმა თერთმეტი შაური და უცნობმა ცხრა შაური. სულ ოთხი თუმანი და სამი მანეთი.

მღ. ზ. ლუკიანიშვილი.

—

წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნთ-საცავს შემოსწირეს:

1) გიგო ზოგიაშვილმა შვიდი ძველი დოკუმენტი, რომელთაგან ერთი XVII საუკ., დანარჩენნი ამ საუკუნის დასაწყისისა.

2) ვალერიან გუნიამ ნ. ბარათაშვილის ლექსთა კრებული, დაწერილი თვით პოეტის ხელით.

საზოგადოების გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

ბ. რედაქტორო! „ივერიის“ მე-147 №-ში ერთი ამბავი ამოვიკითხე ქუთაისიდგან მოწერილი არტისტი ქალის მ. მ. საფაროვისა და თქვენის უმორჩილესი მონის შესახებ. აი რას იწერება ეს ვიღაცა კორესპონდენტი: „ამას წინად აქ გვეწვია ქ. საფაროვისა და ვ. აბაშიძე. რამ აიძულა ეს ორივე ცნობილი და ნიჭიერი არტისტი, რომ ერთი უხეირო და ყოვლად მწერლობის დამამცირებელი ნაწარმოები, როგორიც არის თამაზიშვილის პიესა „ვეფხის ტყაოსანი“ ითამაშეს და სხვა.

უცნაურია კორესპონდენტს თავისს სიცოცხლეში არ უნახავს მ. საფაროვისა და ვ. აბაშიძე არც სცენაზედ და არც კერძოდ დასწრებია, როცა ქუთაისში „ვეფხის ტყაოსანს“ ადგენდნენ. და რომ ეს სწორედ ასეა, აი დამტკიცებაც: 1) „ვეფხის ტყაოსანი“ წარმოადგინეს ქუთაისის სცენაზედ ივლისის პირველ რიცხვებში ქუთაისის თეატრის არტისტებმა და არა ვიღაცა ბიჭ-ბუჭებმა, როგორც ბრძანებს ეს ყოვლად პატიოსანი „სოჩინიტელი“. თუ მგ. ჩხეიძისას, ნ. ჩხეიძისას, დ. ივანიძისას და ბ. ბ. ქუჯს, ბალანჩივაძეს და ჯანოევს „ბიჭ-ბუჭებად, სემინარიის მერხე კლასიდამ უნიჭობისათვის გამორიცხულებს და გადამწერლებს უწოდებს,—ძალიან შემცდარი ბრძანებულა. ყველა ესენი სამუდამო ადგილობრივ დასს შეადგენენ და ქუთაისის საზოგადოება დიდი ხანია ადგილობრივ არტისტებად სცნობს მათ, რომელნიც კეთილ-სინიდისიერად ასრულებენ თავიანთს მოვალეობას. ესენი შეადგენდნენ რამდენიმე წლის განმავლობაში გ. მესხის დრამატიულ დასს და დღესაც ესენი იღწვიან ქუთაისის სცენაზედ. 2) მ. მ. საფაროვისამ რა გაათავა თავისი გასტროლები (ეს იყო ივნისის შუა რიცხვებში), ტფილისში დაბრუნდა და მას შემდეგ ქუთაისში აღარ მოსულა. ხოლო მე, ვასილ აბაშიძე, არა თუ არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია ამ წარმოდგენაში, თვით წარმოდგენაზედაც არ დავსწრებივარ.

ივნისის შუა რიცხვებში ქუთაისში გაიმართა ოთხი წარმოდგენა. მონაწილეობას იღებდნენ ტფილისის არტისტები, მხოლოდ ორნი კი არა, როგორც იუწყება უცნობი, არამედ შვიდნი. ესენი იყვნენ: ქ.ქ. საფაროვისა, ნაბიერიძისა, ბ.ბ. აბაშიძე, ყიფიანი, მარჯანიშვილი, ნაბიერიძე და თამაზიშვილი, აქაურ არტისტთა დახმარებით. ვერ ვიტყვი, რომ ამ წარმოდგენებს უწუნოთ ჩავევლოთ, რადგანაც ზოგიერთი გარემოებანი ხელს გვიშლიდნენ, მაგრამ მაინც თითოეული წარმოდგენა რიგიანად და მწყობრად მიდიოდა. საზოგადოება ბლომად დაიარებოდა და ნასიამოვნებიც რჩებოდა, არტისტებს აჯილდოებდა ტაშის კვრით, დაფნის გვირგვინებით, თაიგულებით და ძვირფასის ნივთებით. მაშ რაღამ აიძულა ეს კაცბატონი, რომ ასეთის უშვერის სიტყვებით, ლანძღვა-გინებით და ცილის-წამებით მოიხსენია ჩვენი სახელი?

ვასო აბაშიძე.

ქუთაისი, 95 წ., 18 ივლისი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

25 ივლისი.

**პეტერბურგი.** 24 ივლისს ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფა იმპერატრიცა პეტერბურგიდგან კრასნოე სელოში წაბრძანდნენ.

გამოცხადებულ იქმნა დებულება რუსეთის იმპერიის მცხოვრებთა პირველ საყოველთაო აღწერის შესახებ.

**ბერლინი,** 24 ივლისი. გაზეთებს შეუტყვიათ, რომ ავსტრო უნგრეთის გარეშე საქმეთა მინისტრსა და გერმანიის საიმპერიო კანცლერს შორის სალაპარაკო საგნად ბულგარიისა და მაკედონიის საქმეები იყოო. პრინცის კობურგელის ბულგარიაში დაბრუნების ამბავი მტკიცდება.

**კოპენჰაგენი.** მეფე შეუძლოთ არის. ციება არ ეტყობა ჯერ. მადა საკმაოდ კარგი აქვს.

**თეირანი.** მღელვარება ჯერ არ შეწყვეტილა თავრიზში. შეძრწუნებულმა მცხოვრებლებმა ადგილობრივის მმართველის სახლი დააქციეს, რომელსაც პურის კრიზისი ჰბრალდება. მრავალი დედაკაცი რუსეთის კონსულის სახლში ეძებდა თავსაფარ ადგილს.

**სტამბოლი.** ოსმალეთის მთავრობის მიერ სახელმწიფოთა წინაშე წარგზავნილ პასუხიდგან სჩანს, რომ იგი მზათაა აასრულოს უმეტესი ნაწილი მათის მოთხოვნილებისა, მაგრამ ამბობს, რომ ზოგიერთი მათგანი შეუძლებელია ასრულდეს, რადგანაც ან ძალიან დიდს ხარჯსა თხოულობს, ან-და ადგილობრივს წესებს არ ეთანხმებაო.

**ლონდონი.** ინგლის-სომეხთა კომიტეტს ამბავი მოსვლია სტამბოლიდგან, რომ ინგლისის ელჩს მინდობილი აქვს სთხოვოს ოსმალეთის მთავრობას განთავისუფლება ყველა იმ სომეხთა, რომელნიც სასამართლოს გარდაუწყვეტლივე არიან დაპატიმრებულნი, როგორც სახელმწიფოს დამნაშავენიო. როგორც ამბობენ, ინგლისს კიდევაც გამოუთხოვნია სახელმწიფოთა თანხმობა, რომ ოსმალეთს კოლლექტიური ნოტა წარუდგინოსო. ნოტაში იქნება, სხვათა შორის, ნათქვამი: რადგანაც ოსმალეთი ვერ უწევს მფარველობას თვისს ქრისტიანე ქვეშევრდომთ, ამიტომ სახელმწიფოებმა გარდასწყვიტეს მთელის ევროპის მხრივ მთავარი კომისარი დაენიშნოს მმართველად ოსმალეთის აღმოსავლეთ-აზიის პროვინციებს. კომისარი მხოლოდ სახელმწიფოთაგან იქნება დამოკიდებული. მისის მოქმედების კონტროლად განსაკუთრებული საბჭო იქმნება, რომელიც სტამბოლში უნდა იმყოფებოდესო. კომისარად ბოსნიისა ჰერცოგოვინის მმართველს ბარონ კალლაის ასახელებენ.

## „ივერიის“ ფოსტა.

**ჭაგანს—ქ. ა—ძეს.** თქვენი მიბაძვა „კვალში“ დაბეჭდილის ლექსისა „გოგო, რა გოგო“, დიაღ მოსწრებულია; მაგრამ ჩვენ მაინც ვერ ვბეჭდავთ, რადგანაც ამ ხასიათის ნაწარმოებს არაფრად ვცემთ პატივს. გაუგზავნეთ ჟურნალ „მწყემს“-ს, რადგანაც „კვალი“ და „მწყემსი“ ერთი მეორეს უფრო უწყობენ ხმას.

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. ხოროკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½, საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის აწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)



**ნიკოლოზ ივანეს ძე ბარსევანიშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა თვისთა გარდაცვალებასა მამისა თვისისა **ივანე თადეოზის ძის ბარსევანიშვილისას** და სთხოვს მობრძანდნენ განსვენებულის დასაფლავებაზედ დასასწრებლად სოფელს თედოწმინდაში, 27 მკათათვეს, დილის თერთმეტ საათზედ. (1—1700—1).



**პ. ს. დოროჟნოვი** (იაროსლავიდგან).

სასახლის ქ. ახალი სახლი სარაჯევისა, ეზოში.

ჩემ მიერ ახლად გახსნილს მაღაზიაში ვურჩევ ისარგებლონ და იყიდონ

**იაფ ფასად**

ბაქოს იარმუკობაზედ დარჩენილი საქონელი: ნამდვილი იაროსლავური ტილო, ხელით ნამუშავარი, პერანგებისა, პერანგის ამხანაგებისა, ზეწრებისათვის და სხ. ყველა ფასებისა; ისყიდება აგრეთვე სტოლის საფარებელი ხელსახოცები, ნაქსოვი სანები, ხავერდის ნოხები, სუფრები და ტილოსი და ბამბეულობის საქონელი.

ეს ვაჭრობა სულ მცირე ხანს იქნება და ზემოდ აღნიშნული სავაჭრო დანიშნულ ფასზედ ნაკლებად არ გაისყიდება. (1—1644—1).



იბეჭდება და მალე გამოვა

**პ. ს. მესხის**

**დრამატიული ნაწარმოები**

სამ წიგნად.

წიგნი პირველი:

1) **თამარ ბატონიშვილი,** ხუთ-მოქმედებიანი დრამა.

2) **ბაგრატ მე IV, იმერეთის მეფე,** დრამა 4 მოქმედებად.

3) **ქარაფშუტა,** სამ-მოქმედებიანი კომედია.

მეორე წიგნი:

1) **რუსთაველი,** ოთხ-მოქმედებიანი პიესა.

2) **სამშობლოს სადიდებლად,** ტრაგედია ხუთ-მოქმედებად.

3) **შეშლილია,** ორ-მოქმედებიანი პიესა, თარგმანი.

მესამე წიგნი:

1) **ირაკლი მეორე,** ხუთ-მოქმედებიანი დრამა.

2) **ჭირვეული ცოლის მორჯულება,** კომედია შექსპირისა, მოხერხებული ქართულ სცენისათვის.

3) Madame Sans-Gêne, (მოურიდებელი ქალბატონი) თარგმანი.

ვინც **დაბეჭდვამდის,** ახლავე, გამოიწერს, სამივე წიგნი დაუთმობა 2 მან. დაბეჭდვის შემდეგ 3 მან. ვინც 20 **ეგზემპლიარს ბმეტს** გამოიწერს, თითო ეგზემპლიარი (სამი წიგნი) დაუთმობა 1 მ. 50 კ. გამოსაწერად მიჰმართონ „ივერიის“ რედაქციაში, პ. ს. მესხს.



**უმაღლესად** დამტკიცებული 20 მარტს 1881 წ.

**დამზღვევი საზოგადოება**

**„როსსია“**

ს.-პეტერბურგი, Большая Морская, 37.

მთლად განაღდებული დასაფუძნებელი თანხა აქვს 20.500,000 მან

საზოგადოების სარგებლიანი ქაღალდები სახელმწიფო ბანკში ინახება.

საზოგადოების მოქმედება.

**დაზღვევა სიცოცხლისა**

მცირე პრემიით (შესატანი ფული) და მეტად სასარგებლო პირობით, სახელდობრ:

1. დაზღვევა სიკვდილამდე (სანუკვეშოდ ოჯახისა და სხვა);

2. დაზღვევა ვადიანი (სიბერის დროს გამოსატანი თანხა, სამზითვო და სხ.);

3. დაზღვევა შემოსავლისა (პენსია მოხუცთათვის, ქვრივთათვის, სტიპენდია ყრმათათვის და სხვ.)

მოარულით სიკვდილი ვერ დააბრკოლებს დაზღვეულის თანხის მიცემას;

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**

როგორც კერძო კაცისა, ისე საერთო, საამხანაგო, ქარხნებში მოსამსახურეთა და მომუშავეთა;

**დაზღვევა ცეცხლისაგან**

ყოველ გვარ უძრავისა და მოძრავის ქონებისა;

**დაზღვევა ტრანსპორტებისა,**

ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით გაგზავნილ საქონლისა.

განცხადება დაზღვევისათვის და ყოველ გვარი ცნობები ეგზავნება უმთავრესს მმართველობას, (ბოლშაია მორსკაია, საკუთ. სახლი, № 37), კავკასიის ოლქის სამმართველოში, ტფილისს (სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, სახლი № 6) და საზოგადოების აგენტებს იმპერიის ყველა ქალაქებში.

უბედურ შემთხვევისაგან დამზღვევი ბილეთება მგზავრებს (როგორც რკინის გზაზედ, ისე გემებით მიმავალთ) მიეცემათ რკინის გზის სადგურებზედ: ტფილისში, ბაქოს და ბათუმს, და გემების სადგურებზედ. 50—6—42




სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.